წესები და პირობები portal.wwsg.ge ვებსაიტისთვის

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება portal.wwsg.ge-ზე, შპს „ვორლდვაიდ სოლუშენ გეოს“ (WWSG) ოფიციალურ პორტალზე. წინამდებარე წესები და პირობები („პირობები“) არეგულირებს კომპანიის ვებსაიტის გამოყენებასა და WWSG-ის მიერ შემოთავაზებულ ყველა მომსახურებას, მათ შორის: „NCTS“ სისტემაში („ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემა“) ტრანზიტის დეკლარაციის შევსებასა და შესაბამისი ოდენობის გარანტიის გაცემას (ერთობლივად „მომსახურებები“).

კომპანიის ვებსაიტზე წვდომით ან მომსახურებების გამოყენებით, თქვენ ეთანხმებით წინამდებარე პირობების სავალდებულო ხასიათს. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ მათ. თუ არ ეთანხმებით წინამდებარე პირობებს, არ გაქვთ უფლება გამოიყენოთ ჩვენი მომსახურებები.

1. ტერმინთა განმარტებები

ტერმინებს, რომლებიც გამოყენებულია წინამდებარე პირობებში, აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„NCTS (ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემა)“: საქართველოს შემოსავლების სამსახურის სპეციალიზებული ვებგვერდი www.ncts.rs.ge, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო სატრანზიტო ოპერაციების საბაჟო ფორმალობების განსახორციელებლად საქართველოსა და „ტრანზიტის საერთო პროცედურის შესახებ“ კონვენციის (CTC) წევრ ქვეყნებს შორის.

„საერთო ტრანზიტის პროცედურის შესახებ კონვენციის“ (CTC) წევრი ქვეყნები: „ტრანზიტის საერთო პროცედურის შესახებ“ კონვენციით განსაზღვრული წევრი ქვეყნები, რომელთა სია განახლებადია და ხელმისაწვდომია ოფიციალურ წყაროებში.

„ტრანზიტის დეკლარაცია”: NCTS სისტემის მეშვეობით წარდგენილი ელექტრონული საბაჟო დეკლარაცია საქონლის ტრანზიტის პროცედურაში მოსაქცევად, მათ შორის და არამხოლოდ T1 დეკლარაცია, რომელიც წარმოადგენს მომხმარებლის მიერ მომსახურების მიმწოდებლის მეშვეობით NCTS-ში წარდგენილ ოფიციალურ ელექტრონულ დოკუმენტს.

„გარანტია“: მომსახურების მიმწოდებლის მიერ საბაჟო ორგანოსთვის წარდგენილი იმპორტის გადასახდელების უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც წარედგინება საბაჟო ორგანოს ტრანზიტის პროცედურის ფარგლებში საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად. გარანტია შეიძლება იყოს საერთო ან ინდივიდუალური.

„მომსახურების მიმწოდებელი“: ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს NCTS სისტემაში საბაჟო ტრანზიტის დეკლარაციების შევსებისა და წარდგენის მომსახურებას.

„NCTS ოპერატორი/ტრანზიტის ოპერატორი: პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს წვდომა NCTS სისტემაზე და პროცედურის მფლობელის სახელით ახორციელებს ტრანზიტის დეკლარაციის შევსებასა და წარდგენას. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის, ტრანზიტის ოპერატორს წარმოადგენს მომსახურების მიმწოდებელი.

„მომხმარებელი“: ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დებს წინამდებარე ხელშეკრულებას მომსახურების მიმწოდებელთან და სარგებლობს NCTS მომსახურებით.

„პროცედურის მფლობელი“: საქართველოს საბაჟო კანონმდებლობისა და „ტრანზიტის საერთო პროცედურის შესახებ“ კონვენციის (CTC) შესაბამისად, პირი (ექსპორტიორი, იმპორტიორი, გადამზიდველი ან სხვა უფლებამოსილი პირი), რომელიც საბოლოოდ პასუხისმგებელია NCTS სისტემაში ტრანზიტის დეკლარაციის მონაცემებზე, პროცედურის წარმატებით დასრულებასა და მასთან დაკავშირებულ საბაჟო/საგადასახადო ვალდებულებებზე. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის, პროცედურის მფლობელად ითვლება მომხმარებელი, თუ ის მოქმედებს საკუთარი სახელით, ან მომხმარებლისთვის უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი, ვისი სახელითაც მომხმარებელი ითხოვს მომსახურების გაწევას.

„ვებსაიტი/პორტალი“: მომსახურების მიმწოდებლის ოფიციალური ვებგვერდი portal.wwsg.ge, რომლის მეშვეობითაც ხდება NCTS მომსახურების მოთხოვნა, მართვა ან/და შესაბამისი/ დაკავშირებული ინფორმაციის მიმოცვლა.

„სანქციები“: ნებისმიერი სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანოს, მათ შორის და არა მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროკავშირის, შეერთებული შტატების ან ნებისმიერი სხვა იურისდიქციის მიერ დაწესებული შეზღუდვები, აკრძალვები ან/და სხვა სახის ზომები, რომლებიც ეხება ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, საქონელს, მომსახურებას ან ოპერაციებს, კონფლიქტების, ტერორიზმის, იარაღის გავრცელების ან სხვა საერთაშორისო სამართლის დარღვევის მიზეზით.

2. პირობების მიღება

2.1. portal.wwsg.ge ვებსაიტზე რეგისტრაციით, მასზე წვდომით, მისი გამოყენებით, ან/და შესაბამისი თანხმობის ველის მონიშვნით, თქვენ ადასტურებთ, რომ სრულად გაეცანით, გაიგეთ და უპირობოდ ეთანხმებით წინამდებარე პირობებს, ასევე WWSG-ის კონფიდენციალურობის პოლიტიკას. თქვენ მიერ აღნიშნული ქმედება (რეგისტრაცია, ვებსაიტზე წვდომა, მისი გამოყენება ან/და ველის მონიშვნა) წარმოადგენს თქვენსა და WWSG-ს შორის იურიდიულად სავალდებულო შეთანხმებას, რომელიც უთანაბრდება მხარეთა შორის წერილობით გაფორმებულ შეთანხმებას.

2.2. წინამდებარე პირობები ძალაში შედის ვებსაიტზე წვდომის ან მომსახურებების გამოყენებისთანავე.

2.3. WWSG იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს განაახლოს, შეცვალოს ან ჩაანაცვლოს წინამდებარე პირობების ნებისმიერი ნაწილი ვებსაიტზე შესაბამისი განახლებებისა და ცვლილებების გამოქვეყნებით. თქვენი პასუხისმგებლობაა, პერიოდულად შეამოწმოთ ჩვენი ვებსაიტი ცვლილებების თაობაზე. ცვლილებების გამოქვეყნების შემდეგ ვებსაიტის ან მომსახურებების გამოყენება გულისხმობს აღნიშნული ცვლილებების მიღებას.

3. WWSG-ის მიერ გაწეული მომსახურებები:

3.1. WWSG იღებს ვალდებულებას, შეავსოს და წარადგინოს ტრანზიტის დეკლარაციები NCTS-ში და გასცეს საჭირო ფინანსური გარანტიები მომხმარებლის მოთხოვნის საფუძველზე და მომხმარებლის მიერ წარდგენილი სრული და უტყუარი დოკუმენტაციის შესაბამისად.

3.2. მომსახურებები გაიცემა საქონლის გადაადგილებისთვის საქართველოდან CTC წევრი ქვეყნის დანიშნულებით ან მისი გავლით მესამე ქვეყნის დანიშნულებით, ან მესამე ქვეყნიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით (CTC) წევრი ქვეყნის დანიშნულებით.

3.3. WWSG-ის მიერ ყველა ტრანზიტის დეკლარაცია წარდგენა ხდება შემდეგი ოფიციალური პლატფორმის მეშვეობით: www.ncts.rs.ge.

4. მომხმარებლის ძირითადი ვალდებულებები:

4.1. თქვენ სრულად ხართ პასუხისმგებელი WWSG-სთვის ტრანზიტის დეკლარაციისა და ნებისმიერი სხვა მომსახურების გაწევისთვის საჭირო სრული, ზუსტი, ჭეშმარიტი და დროული მონაცემებისა და დოკუმენტაციის მიწოდებაზე. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: სასაქონლო ზედნადებს, ინვოისს, შეფუთვის სიას, ნებართვებს/ლიცენზიებს, სასაქონლო კოდებს, წონას, ღირებულებას, გამგზავნის/მიმღების იდენტიფიცირებას. თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ უნდა შეიცავდეს შეცდომაში შემყვან, ყალბ ან მცდარ მონაცემს და არ უნდა არღვევდეს მესამე პირების უფლებებს.

4.2. თქვენ უნდა უზრუნველყოთ, რომ ყველა თქვენი ოპერაცია, მათ შორის საქონლის ტრანსპორტირება შეესაბამება საქართველოს, CTC წევრი ქვეყნების და ნებისმიერი სხვა შესაბამისი იურისდიქციის მოქმედ საბაჟო, სატრანზიტო და სატრანსპორტო კანონებს, რეგულაციებსა და კონვენციებს, მათ შორის NCTS-ისა და CTC-ის წესებს, რაც მოიცავს ნებისმიერი ქვეყნის საზღვარზე საქონლის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საბაჟო გადახდების განხორციელებასა და საბაჟო პროცედურების დაცვას.

4.3. თქვენ უნდა უზრუნველყოთ საქონლის დროული წარდგენა დანიშნულების საბაჟო ორგანოში და ყველა საჭირო საბაჟო პროცედურის დაუყოვნებლივი დასრულება. თქვენ

ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ უზრუნველყოთ NCTS დეკლარაციის დახურვა საქონლის დანიშნულების ადგილზე ჩატანისა და შესაბამისი საბაჟო პროცედურების დასრულების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ დროულად და ჯეროვნად არ მოხდება იმპორტის/პროცედურის განხორციელება, უნდა წარმოადგინოთ მომსახურების მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია ტრანზიტის დეკლარაციის დაუყოვნებლივ დასახურად.

4.4. თქვენ ადასტურებთ, რომ თქვენ, თქვენი ხელმძღვანელი პირები, თანამშრომლები, აგენტები ან ქვეკონტრაქტორები და ტრანსპორტირებული საქონელი არ ექვემდებარებიან სანქციებს. თქვენ დამატებით იძლევით გარანტიას, რომ საქონელი, ტვირთი და ნებისმიერი სხვა ნივთი, რომლის ტრანსპორტირებაც ხდება წინამდებარე პირობების ფარგლებში, არ ექვემდებარება სანქციებს და არ იქნება დაკავშირებული რომელიმე მხარესთან, ორგანიზაციასთან ან ქვეყანასთან, რომელიც ექვემდებარება ნებისმიერი ტიპის სანქციას. თქვენ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ WWSG-ს და უზრუნველყოთ NCTS დეკლარაციის დახურვა, თუ ტრანსპორტირების დროს გამოვლინდა ან/და დაწესდა შესაბამისი სანქციები.

4.5. თქვენ უნდა მიაწოდოთ საქონელი დანიშნულების საბაჟო ორგანოს იმავე მდგომარეობაში, როგორშიც წარმოდგენილი იყო გადასაზიდად, ყოველგვარი დაზიანებისა და ცვლილების გარეშე. თქვენ უზრუნველყოფთ, რომ არ დაზიანდეს საქონელი, მისი საიდენტიფიკაციო საშუალებები ან ნებისმიერი საჭირო დოკუმენტაცია.

4.6. თქვენ უნდა გქონდეთ საქონლის ტრანსპორტირებისთვის საჭირო ყველა მოქმედი ლიცენზია, ნებართვა თუ სერტიფიკატი. ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული ყველა სატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში და შეესაბამებოდეს უსაფრთხოების საერთაშორისოდ მოქმედ სტანდარტებს. თქვენ უნდა უზრუნველყოთ, რომ საქონელი იყოს სათანადოდ შეფუთული და ეტიკეტირებული საერთაშორისო რეგულაციების შესაბამისად.

4.7. თქვენ უნდა ითანამშრომლოთ WWSG-სთან შეუფერხებელი ტრანსპორტირებისა და ყველა საბაჟო რეგულაციის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. დაუყოვნებლივ აცნობოთ მომსახურების მიმწოდებელს ნებისმიერი ინციდენტის, მათ შორის ნებისმიერი შეფერხების, უბედური შემთხვევის ან საქონლის დაზიანების შესახებ. ინციდენტის შემთხვევაში, ყველა გონივრულ ღონისძიებას უნდა მიმართოთ საქონლის დაზიანების ან დანაკარგის მინიმუმამდე დასაყვანად და უზრუნველყოთ საქონლის უსაფრთხოება.

4.8. თქვენ უნდა წარუდგინოთ WWSG-ს ყველა ის სადაზღვეო პოლისი, რომელიც მოითხოვება თქვენი რეგისტრაციის ქვეყნის ან CTC ქვეყნების კანონმდებლობითა და რეგულაციებით. აღნიშნული დაზღვევა ძალაში უნდა დარჩეს თქვენი წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის განმავლობაში.

4.9. თქვენ უნდა გადაიხადოთ მომსახურების საფასური წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესითა და ვადებში.

4.10. თქვენ სრულად, უპირობოდ და დაუყოვნებლივ უნდა აანაზღაუროთ მომსახურების მიმწოდებლის მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა, რაც წარმოიშვა მომხმარებლის/პროცედურის მფლობელის მიერ დეკლარირებულ საქონელზე ან ოპერაციაზე, მათ შორის და არამხოლოდ: იმპორტის გადასახდელები, ჯარიმები, საურავები, სანქციები და ნებისმიერი სახის ხარჯები, რაც გამოწვეულია მომხმარებლის მიერ არასწორი/არასრული ინფორმაციის მიწოდებით, დაუდევრობით, მართლსაწინაინააღმდეგო ქმედებით ან ნებისმიერი ქვეყნის საბაჟო/საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით.

4.11. თქვენ უნდა დაიცვათ მომსახურების მიმწოდებლის ინტერესები, თავიდან აიცილოთ ნებისმიერი სამართლებრივი, ფინანსური ან ადმინისტრაციული მოთხოვნა ან ზიანი, რომელიც მომხმარებლის ქმედებებით ან უმოქმედობით იქნება გამოწვეული და სრულად აანაზღაუროთ მომსახურების მიმწოდებელს ამგვარი დაცვისთვის გაწეული ნებისმიერი ხარჯი (მათ შორის სასამართლო, საადვოკატო და ადმინისტრაციული ხარჯები).

4.12. თქვენ უნდა უზრუნველყოთ მომსახურების მიმწოდებლისთვის ახალი ტრანზიტის დეკლარაციის შედგენისთვის საჭირო დოკუმენტაციის მიწოდება და შესაბამისი მომსახურების ღირებულების გადახდა მომსახურების მიმწოდებლის მიერ ტრანზიტის დეკლარაციის შევსების შემდეგ, მომხმარებლის ბრალით ტვირთის ტრანსპორტირების განუხორციელებლობისას.

4.13. თქვენ უნდა უზრუნველყოთ, რომ თქვენმა თანამშრომლებმა და ქვეკონტრაქტორებმა (ასეთის არსებობისას) დაიცვან ყველა შესაბამისი კანონი და რეგულაცია.

4.14. თქვენ დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოთ NCTS დეკლარაციის დახურვა სატრანზიტო მარშრუტის ბოლო CTC წევრი ქვეყნის დატოვებამდე იმ შემთხვევაში, თუ დანიშნულების ქვეყანა საქონლის გადაადგილების დროს არ არის CTC-ის წევრი სახელმწიფო.

5. WWSG-ის უფლებამოსილებები:

5.1. მოითხოვოს მომხმარებლისგან სრული, ზუსტი და დროული ინფორმაცია და დოკუმენტაცია NCTS დეკლარაციის შესავსებად. ასევე, ნებისმიერი საბაჟო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია.

5.2. მოითხოვოს მომხმარებლისგან ნებისმიერი ფინანსური ან/და იურიდიული გარანტია მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე. ასევე, მოითხოვოს მომხმარებლისგან წერილობითი დადასტურება, რომ არც მომხმარებელი და არც ტვირთი არ ექვემდებარება მოქმედ სანქციებს.

5.3. მიიღოს მომსახურების საფასური წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესითა და ვადებში.

5.4. ცალმხრივად შეაჩეროს ან შეწყვიტოს მომსახურების მიწოდება, ან მომხმარებლისთვის საიტზე/პორტალზე წვდომა, თუ მომხმარებელი არღვევს წინამდებარე პირობებით ნაკისრ

რომელიმე ვალდებულებას (მათ შორის და არა მხოლოდ არ იხდის მომსახურების საფასურს, აწვდის არაზუსტ/არასრულ/ყალბ ინფორმაციას ან არღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს). ასეთ შემთხვევაში, WWSG არ აგებს პასუხს მომხმარებლის მიერ განცდილ ზიანსა თუ დანაკარგზე.

5.5. მოითხოვოს მომხმარებლისგან ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების დაუყოვნებლივ ანაზღაურება, რომელიც წარმოიშვა მომხმარებლის ქმედებით, უმოქმედობით, დაუდევრობით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, ან/და წინამდებარე პირობების დარღვევით.

5.6. ნებისმიერ დროს შეამოწმოს მომხმარებლის მიერ წინამდებარე პირობების დაცვა.

5.7. უარი თქვას მომსახურების გაწევაზე, თუ მიაჩნია, რომ მომხმარებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მცდარია, არასრულია ან მისი წარდგენა გამოიწვევს კანონმდებლობის დარღვევას.

5.8. უარი თქვას სანქცირებული პირების/ტვირთის მომსახურებაზე ან/და არ გააგრძელოს ისეთი მომხმარებლის ან/და ტვირთის მომსახურება, რომელიც ექვემდებარება სანქციებს. ასეთ შემთხვევაში, WWSG უფლებამოსილია დაიტოვოს მომხმარებლისგან მიღებული ნებისმიერი საზღაური.

5.9. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მომხმარებელი ექვემდებარება ნებისმიერ სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანოს მიერ დაწესებულ სანქციას, WWSG უფლებამოსილია დაუყოვნებლივ უარი განაცხადოს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემდგომი მომსახურების მიწოდებაზე და მოითხოვოს შესაბამისი ტრანზიტის დეკლარაციის დახურვა. ამ შემთხვევაში, WWSG თავისუფლდება წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი გარანტიით ნაკისრი ვალდებულებებისგან.

6. მომხმარებლის განცხადებები და გარანტიები

ა. უფლებამოსილება: თქვენ აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ ხართ სათანადოდ რეგისტრირებული და ლიცენზირებული პირი (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც აქვს სრული უფლებამოსილება განახორციელოს სატრანსპორტო მომსახურებები, მათ შორის საქონლის გადაადგილება საბაჟო სატრანზიტო პროცედურების სრული დაცვით.

ბ. კანონმდებლობის დაცვა: თქვენ აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ თქვენი ყველა ოპერაცია, მათ შორის ტრანსპორტირება, შეესაბამება საქართველოსა და შესაბამისი ტრანზიტის ქვეყნების მოქმედ საბაჟო, სატრანზიტო, სატრანსპორტო და სხვა მოქმედ კანონებს, მათ შორის NCTS სისტემის და CTC-ის წესებსა და მოთხოვნებს.

გ. დაზღვევა: თქვენ აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ უზრუნველყოფთ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ ყველა საჭირო სადაზღვეო პოლისს.

დ. საქონლის ტრანსპორტირება და მდგომარეობა: თქვენ აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ გადაზიდავთ და შეინარჩუნებთ საქონელს იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც მიიღეთ იგი, ყოველგვარი დაზიანების, დანაკარგისა და ცვლილების გარეშე, წინამდებარე პირობების სრული დაცვით. ტრანსპორტირების მთელი პერიოდის განმავლობაში, თქვენ სრულად უზრუნველყოფთ საქონლის, მისი საიდენტიფიკაციო საშუალებების (ლუქები, მარკირებები) და ნებისმიერი საჭირო დოკუმენტაციის დაცვასა და უსაფრთხოებას.

ე. დოკუმენტებისა და ინფორმაციის სიზუსტე: თქვენ აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ WWSG-სთვის მიწოდებული ყველა დოკუმენტი, მონაცემი, განცხადება და ინფორმაცია არის სრული, ზუსტი, ჭეშმარიტი და განახლებული. ისინი სრულად ასახავს თქვენს მოქმედ სტატუსს, გადასაზიდ საქონელს, ტრანსპორტირების პროცედურებს, მარშრუტს, გამგზავნ/მიმღებ პირებს და ნებისმიერ სხვა დეტალს, რომელიც აუცილებელია NCTS დეკლარაციის სწორად შევსებისა და წინამდებარე პირობების სათანადოდ შესრულებისთვის. თქვენ სრულ პასუხისმგებლობას იღებთ მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

ვ. პასუხისმგებლობა ზიანზე: თქვენ აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ სრულ პასუხისმგებლობას იღებთ და ვალდებული ხართ აანაზღაუროთ მომსახურების მიმწოდებელს (WWSG-ს) ნებისმიერი ზიანი, ზარალი, ხარჯი ან ჯარიმა, რომელიც გამოწვეული იქნება თქვენი განზრახი, გაუფრთხილებელი ქმედებით/უმოქმედობით, დაუდევრობით ან წინამდებარე პირობების ნებისმიერი დარღვევით.

ზ. თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე: თქვენ აცხადებთ და ადასტურებთ, რომ გაცნობიერებული ხართ და ეთანხმებით, რომ მომსახურების გაწევის მიზნებისთვის, თქვენი ან/და თქვენი წარმომადგენლების მიერ WWSG-ისთვის მიწოდებული ნებისმიერი პერსონალური მონაცემის დამუშავება განხორციელდება, რისთვისაც აცხადებთ სრულ და უპირობო თანხმობას WWSG-ის მიერ აღნიშნული მონაცემების დამუშავებაზე მომსახურების გაწევის მიზნებისთვის იმ პირობით, რომ დაცული იქნება საქართველოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონმდებლობის მოთხოვნები

თ. კონფლიქტის არარსებობა: თქვენ აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება არ ეწინააღმდეგება თქვენს მიერ ნაკისრ სხვა ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს ან ვალდებულებებს, რომლებიც შესაძლოა გქონდეთ მესამე პირებთან.

ი. სანქციები: თქვენ აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ თქვენ, ისევე როგორც თქვენი ხელმძღვანელი პირები, თანამშრომლები, აგენტები, წარმომადგენლები ან ქვეკონტრაქტორები (ასეთის არსებობისას), არ ექვემდებარებით არცერთ სახელმწიფო, საერთაშორისო ან სხვა იურისდიქციის მიერ დაწესებულ სანქციას, შეზღუდვას ან აკრძალვას.

თქვენ დამატებით იძლევით გარანტიას, რომ საქონელი, ტვირთი და ნებისმიერი სხვა ნივთი, რომლის ტრანსპორტირებაც ხდება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, არ ექვემდებარება სანქციებს და არ იქნება დაკავშირებული არცერთ სანქცირებულ მხარესთან, ორგანიზაციასთან, ქვეყანასთან ან ტერიტორიასთან. სანქციის არსებობის გამოვლენის შემთხვევაში, თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ აცნობოთ WWSG-ს და მიიღოთ ყველა ზომა NCTS დეკლარაციის დაუყოვნებლივ დახურვისთვის.

7. ფინანსური პირობები და ანგარიშსწორება

7.1. მომსახურების ღირებულება გამოითვლება წინამდებარე პირობებისა და მხარეთა შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული ტარიფებით, NCTS სისტემაში დეკლარირებული საქონლის ღირებულების, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადებისა და სასაქონლო კოდების შესაბამისად. მხარეები თანხმდებიან, რომ დანართი N1 შეიძლება განახლდეს WWSG-ის მიერ წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, რაც ძალაში შევა შეტყობინების გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარული დღის შემდეგ.

7.2. თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ მომსახურების სრული ღირებულება წინასწარ მანამ, სანამ WWSG შეავსებს ტრანზიტის დეკლარაციას.

7.3. გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს WWSG-ის ანგარიშზე შესაბამისი თანხის ჩარიცხვის გზით ან პორტალზე ინტეგრირებული გადახდის სისტემის მეშვეობით, თქვენ მიერ ელექტრონული ფორმით წარდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე.

7.4. თქვენ მიერ თანხის სრულად გადახდის შემდეგ, WWSG არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში (თუ გადახდა შესრულებულია სამუშაო საათებში) განახორციელებს ტრანზიტის დეკლარაციის შევსებას და წარდგენას, რის საფუძველზეც თქვენ უფლებამოსილი იქნებით განახორციელოთ საქონლის ტრანსპორტირება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან/გავლით ევროკავშირის ან CTC წევრი ქვეყნის დანიშნულებით, ან მისი გავლით მესამე ქვეყნის დანიშნულებით, ან მესამე ქვეყნიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით (CTC) წევრი ქვეყნის დანიშნულებით.

7.5. თქვენი სახელით WWSG-ის მიერ ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული ნებისმიერი გადახდა ან ქმედება, თქვენთან მიმართებაში ჩაითვლება თქვენ მიერ განხორციელებულად და წარმოშობს თქვენს სრულ ვალდებულებას. თქვენ სრულად აგებთ პასუხს ავტორიზებული პირის ქმედებებზე, როგორც საკუთარ ქმედებებზე.

7.6. მხარეთა შორის ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტა ლარში, გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

7.7. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ან თქვენი სახელით ავტორიზებული პირის მიერ არ მოხდება მომსახურების ღირებულების სრულად ან/და დროულად ანაზღაურება წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით, WWSG-ს უფლება აქვს დაუყოვნებლივ, ყოველგვარი დამატებითი შეტყობინებისა და პასუხისმგებლობის გარეშე:

7.7.1. შეაჩეროს წინამდებარე პირობებით/ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის მომსახურების გაწევა, მათ შორის უკვე დაწყებული ოპერაციების ნაწილში, თანხის სრულად მიღებამდე ან/და

7.7.2. გააუქმოს უკვე შედგენილი ტრანზიტის დეკლარაცია, რის შედეგადაც თქვენ არ გექნებათ უფლება განახორციელოთ საქონლის ტრანსპორტირება აღნიშნული დეკლარაციის საფუძველზე;

7.7.3. მოითხოვოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

7.7.4.მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით ან/და წინამდებარე პირობებით/ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის ზომები.

7.8. თქვენ სრულად ხართ პასუხისმგებელი ყველა ზიანზე, ჯარიმასა თუ ხარჯზე, რაც წარმოიშვა თქვენი მხრიდან გადახდის ვალდებულების დარღვევის ან/და WWSG-ის მიერ მომსახურების შეჩერების/გაუქმების შედეგად.

8. მომხმარებლის პასუხისმგებლობა:

8.1. თქვენ იღებთ სრულ ფინანსურ და სამართლებრივ პასუხისმგებლობას და ვალდებულებას აუნაზღაუროთ, დაიცვათ და პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლოთ WWSG ნებისმიერ ზიანთან, ზარალთან (როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ), ხარჯთან (მათ შორის, სასამართლო, საადვოკატო და ადმინისტრაციული ხარჯები), ჯარიმასთან, საურავთან, ფინანსურ სანქციასთან, საბაჟო გადასახდელთან (მათ შორის, იმპორტის გადასახდელები), საკომისიოსთან ან/და ნებისმიერ სხვა გადასახდელთან ან მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოიშობა ან/და გადახდილია WWSG-ის მიერ, შემდეგი მიზეზებით გამოწვეულ მოთხოვნებთან, დავებთან ან დანაკარგებთან დაკავშირებით:

ა. თქვენ მიერ წინამდებარე პირობების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

ბ. თქვენი ან თქვენი კონტროლის ქვეშ მყოფი პირების განზრახი, გაუფრთხილებელი ქმედება/უმოქმედობა ან დაუდევრობა;

გ. თქვენ მიერ საქართველოს ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობით (მათ შორის, საბაჟო, საგადასახადო კანონმდებლობით ან სანქციების რეჟიმით) გათვალისწინებული მოთხოვნების ან ვალდებულებების შეუსრულებლობა;

დ. თქვენ მიერ არაზუსტი, არასრული, ყალბი ან ცრუ ინფორმაციის მოწოდება;

ე. NCTS ტრანზიტის ფარგლებში რეგისტრირებული დეკლარაციიდან ან/და მასთან დაკავშირებული საქონლიდან წარმოშობილი საბაჟო ვალდებულებები ან/და NCTS პროცედურის ნებისმიერი დარღვევა;

ვ. საქონლის ტრანსპორტირების დროს მისი განზრახ ან შემთხვევითი დაღუპვა, დაკარგვა, დაზიანება, მოპარვა ან ტრანსპორტირების მოთხოვნების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

ზ. მესამე პირების, მათ შორის სახელმწიფო ორგანოების მიერ ინიცირებული ნებისმიერი მოთხოვნა, დავა ან პროცესი, რომელიც გამოწვეულია ზემოაღნიშნული „ა“ - „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოქმედებებით/უმოქმედობებით;

თ. WWSG-ის მიერ თქვენს სასარგებლოდ წარდგენილი გარანტიის ამოქმედება და WWSG-ის მიერ სახელმწიფო ან საბაჟო ორგანოსთვის ნებისმიერი თანხის გადახდა, რომელიც წარმოიშვა თქვენ მიერ დეკლარირებულ საქონელზე ან ოპერაციაზე WWSG-ის გარანტიის საფუძველზე. ამასთან, ნებისმიერი სახის ფინანსური ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა NCTS პროცედურის დარღვევის შედეგად თქვენი ან თქვენი კონტროლის ქვეშ მყოფი პირების ქმედებების გამო (მათ შორის, დეკლარაციაში არაზუსტი ინფორმაციის წარდგენა, საქონლის გაუჩინარება/დაკარგვა/დაზიანება, საბაჟო ვალდებულებების შეუსრულებლობა), როგორიცაა, მათ შორის და არა მხოლოდ, იმპორტის გადასახდელები, საბაჟო მოსაკრებლები, ჯარიმები და საურავები, სრულად და უპირობოდ გეკისრებათ თქვენ. თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ აანაზღაუროთ WWSG-ის მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ ვალდებულებასთან.

ზიანის ოდენობა გამოითვლება WWSG-ის ფაქტობრივი ზარალის საფუძველზე.

8.2. წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ტრანზიტის დეკლარაციის დახურვის ვადის ან დახურვის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, თქვენ პასუხისმგებელი ხართ WWSG-ს აუნაზღაუროთ ვადაგადაცილების შედეგად გაწეული ყველა და ნებისმიერი ხარჯი და დანაკარგი. ამასთან, თქვენ ვალდებული ხართ WWSG-ს გადაუხადოთ პირგასამტეხლო მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3. ზიანის ანაზღაურება არ გათავისუფლებთ წინამდებარე პირობებით ნაკისრი ვალდებულებებისგან, მათ შორის, ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების შესრულებისგან.

8.4. WWSG არ აგებს პასუხს საქონლის დაკარგვაზე, დაზიანებაზე, შინაარსზე, ღირებულებაზე, კოდებზე, დასახელებაზე, რაოდენობაზე, წონაზე, დანიშნულების ადგილამდე მიტანის შეუძლებლობაზე ან სხვა ნებისმიერ საკითხზე, რომელიც არ არის პირდაპირ გამოწვეული WWSG-ის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედებით/უმოქმედობით NCTS დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის პროცესში. WWSG-ის პასუხისმგებლობა მკაფიოდ შეზღუდულია მომხმარებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე

მომსახურების ჯეროვნად და დროულად მიწოდებით. WWSG არ არის პასუხისმგებელი იმ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია:

ა. თქვენ მიერ არაზუსტი, არასრული, ყალბი ან ცრუ ინფორმაციის მოწოდებით;

ბ. საქართველოს ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევით/შეუსრულებლობით;

გ. NCTS სისტემის, ნებისმიერი ქვეყნის საბაჟო ორგანოს ან მესამე პირების (მათ შორის, სატრანსპორტო კომპანიის) ბრალეულობით გამოწვეულ შეფერხებებზე, შეცდომებსა და ზიანზე, თუ ეს უშუალოდ არ არის გამოწვეული WWSG-ის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით.

9. მონიტორინგი და მონაცემების შენახვა

9.1. WWSG იტოვებს უფლებას შეინახოს მომხმარებლის მიერ მოწოდებული მონაცემები და ვებსაიტის გამოყენების ისტორიასთან დაკავშირებული ინფორმაცია უსაფრთხო სერვერებზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მომსახურების გაუმჯობესების, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სამართლებრივი მოთხოვნების შესრულების მიზნით.

10. კომუნიკაცია მხარეთა შორის

10.1. მხარეთა შორის წინამდებარე პირობებთან დაკავშირებული ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება ან მიმოწერა (შემდგომში „შეტყობინება“) უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.

10.2. შეტყობინება ჩაითვლება ჯეროვნად მიწოდებულად, თუ:

10.2.1. პირადად ჩაბარდება მიმღებ მხარეს;

10.2.2 გაიგზავნება რეგისტრირებული ფოსტით ან აღიარებული კურიერის მომსახურებით (მაგ., DHL, FedEx, UPS) მიმღები მხარის წინამდებარე პირობებში მითითებულ (ან სხვა შეთანხმებულ) მისამართზე;

10.2.3. გაიგზავნება ელექტრონული ფოსტით, ვებსაიტზე/წინამდებარე პირობებში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე, იმ პირობით, რომ გამგზავნი მიიღებს დადასტურებას ელექტრონული ფოსტის მიღების შესახებ ან ადრესატისგან მიღების წერილობით დადასტურებას.

10.3. წერილობითი შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად:

10.3.1. პირადად ჩაბარების შემთხვევაში-ჩაბარების დღეს;

10.3.2. რეგისტრირებული ფოსტით ან კურიერის მომსახურებით გაგზავნის შემთხვევაში-გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ (ადგილობრივი გზავნილი) ან 7

(შვიდი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ (საერთაშორისო გზავნილი), ან მიღების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ თარიღში, რომელი უფრო ადრე დადგება;

10.3.3. ელექტრონული ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში-გაგზავნის დღეს, თუ მიღებულია დადასტურება ელექტრონული ფოსტის მიღების შესახებ ან ადრესატისგან მიღების წერილობით დადასტურება, იმ პირობით, რომ იგი გაგზავნილია სამუშაო საათებში. თუ გაგზავნილია არასამუშაო საათებში, ჩაითვლება მიღებულად მომდევნო სამუშაო დღის დაწყებისას.

10.4. მხარეები ურთიერთობას განახორციელებენ ვებსაიტზე მითითებულ ან წინამდებარე პირობებით განსაზღვრულ (ან სხვა შეთანხმებულ) მისამართებზე/საკონტაქტო მონაცემებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემზე, რომელსაც ერთი მხარე წერილობით აცნობებს მეორეს). თითოეული მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართების ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად (არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში) აცნობოს მეორე მხარეს წერილობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ ბოლო ცნობილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე განხორციელებული ურთიერთობა ჩაითვლება ჯეროვნად მიწოდებულად.

11. კონფიდენციალურობა

11.1. წინამდებარე პირობების მიზნებისთვის „კონფიდენციალური ინფორმაცია“ ნიშნავს ნებისმიერ ინფორმაციას, მათ შორის ტექნიკურ, ფინანსურ, კომერციულ, ოპერაციულ, მარკეტინგულ, იურიდიულ ან სხვა სახის ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია მხარეთა საქმიანობასთან, კლიენტებთან, მომწოდებლებთან, თანამშრომლებთან, ოპერაციებთან, პროდუქტებთან, მომსახურებებთან, ფასებთან, სტრატეგიებთან, ბიზნეს გეგმებთან ან მონაცემებთან, რომელიც წინამდებარე პირობების მოქმედების განმავლობაში ან მისი შეწყვეტის შემდეგ რომელიმე მხარემ („გამამჟღავნებელმა მხარემ“) გადასცა ან მიაწოდა მეორე მხარეს („მიმღებ მხარეს“) ან რომლის შესახებაც მიმღებმა მხარემ შეიტყო წინამდებარე პირობების შესრულებასთან დაკავშირებით. კონფიდენციალურ ინფორმაციად ჩაითვლება ინფორმაცია, მიუხედავად მისი ფორმის (წერილობითი, ზეპირი, ელექტრონული, ვიზუალური) და გამჟღავნების მეთოდისა.

11.2. მხარეები ვალდებულნი არიან, როგორც წინამდებარე პირობების მოქმედების პერიოდში, ასევე ურთიერთობის დასრულების/შეწყვეტის შემდეგაც შეინახონ და დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ან წინამდებარე პირობების შესრულებასთან დაკავშირებით ცნობილი ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია. თითოეული მხარე ვალდებულია გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია მხოლოდ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად და არ გაუმჟღავნოს ან არ გადასცეს ის არცერთ მესამე პირს მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

11.3. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას შემდეგ შემთხვევებში:

11.3.1. ინფორმაცია, რომელიც კანონმდებლობის დარღვევის გარეშე იყო ცნობილი მიმღები მხარისთვის გამამჟღავნებელი მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნებამდე;

11.3.2. ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც სავალდებულოა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ან/და სათანადო იურისდიქციის მქონე სახელმწიფო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე (მათ შორის, რომელიმე მხარის მიერ სასამართლო წესით მისი უფლებების განსახორციელებლად). ასეთ შემთხვევაში, ინფორმაციის გამჟღავნებელი მხარე, კანონმდებლობით დაშვების ფარგლებში, ვალდებულია წინასწარ აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოთხოვნის შესახებ;

11.3.3. ინფორმაცია, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან გამამჟღავნებელი მხარის ვალდებულების დარღვევის გარეშე;

11.3.4. ნფორმაცია, რომლის მესამე პირისათვის გამჟღავნება მოხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

11.3.5. ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც აუცილებელია WWSG-ის მიერ წინამდებარე პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად ან/და მისი საქმიანობის წარმართვისთვის მისი შვილობილი კომპანიების, შვილობილი კომპანიების თანამშრომლების, კონსულტანტების, აუდიტორების, იურისტების, ბანკების ან სხვა აუცილებელი მესამე პირების მიმართ, იმ პირობით, რომ ასეთი პირები ვალდებულნი არიან დაიცვან ამგვარი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, მათი საქმიანობის ფარგლებში.

11.4. მხარე, რომელიც დაარღვევს წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ კონფიდენციალურობის ვალდებულებას, პასუხისმგებელი იქნება მეორე მხარისთვის მიყენებული ზიანის (ზარალის) სრულ ანაზღაურებაზე, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე პირობების შესაბამისად.

11.5. კონფიდენციალურობის ვალდებულება ძალაში რჩება განუსაზღვრელი ვადით, წინამდებარე პირობების მოქმედების ვადის დასრულების ან შეწყვეტის შემდეგაც.

12. პრეტენზიები და დავები

12.1. ნებისმიერი სახის პრეტენზია მხარეებმა შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე მხარეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

12.2. წინამდებარე პირობებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა (მათ შორის, პირობების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან, აღსრულებასთან ან/და ნამდვილობასთან/ბათილობასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკების გზით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოებს კანონმდებლობის გამოყენებით.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე პირობების შინაარსი ზუსტად და სრულად გამოხატავს მათ ნებას და რომ მათი ნების გამოვლენა მოხდა პირობების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მხოლოდ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

13.2. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება მხარეს მეორე მხარის მიერ წინამდებარე პირობების ან/და მოქმედი კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება პირობებით ან/და მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებულ ყოველ სხვა უფლებას.

13.3. წინამდებარე პირობების რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად პირობების ან/და მისი სხვა მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი დებულებების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულებები, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა პირობებით (მათ შორის ბათილი დებულებებით) გათვალისწინებული მიზანი.

13.4. წინამდებარე პირობები თავისი ვალდებულებებითა და უფლებებით ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, მემკვიდრეების ან/და სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ წინამდებარე პირობები ან/და მოქმედი კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

13.5. არც ერთი მხარე არ არის უფლებამოსილი მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცეს ან გადააბაროს მასზე წინამდებარე პირობებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. მეორე მხარის უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა მოქმედი კანონმდებლობით ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა.

13.6. პირობები განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული პირობებით, მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით.

საკონტაქტო ინფორმაცია:

შპს „ვორლდვაიდ სოლუშენ გეო“

ს/კ: 402306624

მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ქუჩა ი. აბაშიძე N73, ანტრესოლის სართული

ელ. ფოსტა: ncts@wwsg.ge

ტელ: +995 032 2 192 207